

პირობითი ბაიესის მეთოდი რთული ჰიპოთეზების შემოწმებისათვის: თავისებურებები და შესაძლებლობები

ქ.ი. ყაჭიაშვილი

რეზიუმე

სტატია ეძღვნება პირობითი ბაიესის მეთოდით რთული ჰიპოთეზების შემოწმების პრობლემას. ნაჩვენებია, რომ ისევე როგორც მარტივი და მრავლობითი ჰიპოთეზების შემოწმებისას პარალელური და მიმდევრობითი ექსპერიმენტების დროს, რთული ჰიპოთეზების შემოწმების შემთხვევაშიც მას გააჩნია ოპტიმალური თვისებები. კერძოდ, ის ადვილად, სპეციალური ძალისხმევის გარეშე, გადალახავს ე.წ. ლინდლის პარადოქსს, რომელიც წარმოიშობა მარტივი ჰიპოთეზის შემოწმებისას რთული ალტერნატივის წინააღმდეგ. პირობითი ბაიესის მეთოდი შედარებულია კლასიკურ ბაიესის მეთოდთან, როდესაც აპრიორული ალბათობები სპეციალურად არის შერჩეული ლინდლის პარადოქსის გადასალახავად. პირობითი ბაიესის მეთოდის უპირატესობა ამ ტესტთან შედარებით არის ნაჩვენები მოდელირებით. თეორიული მსჯელობის სამართლიანობა ნაჩვენებია განსახილველი მეთოდების ბევრი სხვადასხვა მახასიათებლების გამოთვლის შედეგებით.